საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
989
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა, 15 თებერვალი 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 7 (218) ფასი 30 კაპ.

საბჭოთა ხალხის გმირობა— მწერლობის შთამგონებელი

უსაშინელესი ომის ქარიშხალმა გადაიარა ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე. არასოდეს არც ერთ ქვეყანას ჩვენს პლანეტაზე ისეთი ჯოჯოხეთური ძალა არ დასტაკებია, როგორიც არის გერმანული ფაშიზმის სამხედრო მანქანა.

ვერაგი მტერი, შეიარაღებული არა მარტო მთელი ევროპის ტექნიკით, არამედ მტაცებელი ნადირის სისასტიკით, მტერი სისხლით დამთვრალი და პირველი იოლი გამარჯვებებით გაბრუებული, ევროპასა და ამერიკაში ბევრს მართლაც უძლეველ ძალად მიაჩნდა. არა მარტო ბნედიან ფიურერს და მის გენერლებს, არამედ ბევრს ჩვენს უცხოელ კეთილისმსურველს ეგონა, რომ სხვადასხვა სახის უამრავი საჟლეტი მანქანით აღჭურვილი მილიონი ნადირის შემოსევას საბჭოთა ხალხი და მისი არმია ვერ გაუძლებდნენ და მოიდრიკებოდნენ. მაგრამ ფაშიზმის უძლეველობაში დაჯერებულნი ჩვენი მტერ-მოყვარენი ომის პირველ დღეებშივე დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხალხი უფრო გამძლე მასალისაგან ყოფილა გამოჭედილი, ვიდრე გერმანული ტანკები, ბომბდამშენები და ზარბაზნები.

აგემა რა გამანადგურებელი დარტყმა მოსკოვსა, როსტოვსა, ტიხვინსა, კალინინსა და სხვა ქალაქებთან, გასწმინდა რა ფაშისტური უწმინდურებისაგან მთელი ოლქები, ჩვენი უბადლო ჯარი შეუპოვარი ბრძოლებით განაგრძობს წინსვლას დასავლეთისაკენ. და რაც უფრო უკან იხევს მტერი, რამდენადაც იგი უფრო მეტი მანძილით შორდება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს მოსკოვს და ჩვენს სასიცოცხლო ცენტრებს, მით უფრო მკვეთრად ისახება ჩვენს წინაშე სიდიადე საბჭოთა ხალხის მიერ გარდახდილი გრანდიოზული ბრძოლებისა, მით უფრო მეტი სიმძაფრით განვიცდით ჩვენ საბჭოთა ადამიანის, ლენინ-სტალინის ეპოქაში აღზრდილი ადამიანის გასაოცარ სულიერ თვისებებს, მის გაუტეხელ მორალურ ძალას.

ასეული ტომები შეიქმნება იმ ადამიანთა გმირობაზე, საოცარ თავგადასავლებზე, რომლებმაც თავი დასდეს სამშობლოსათვის, რომლებმაც თავისი სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანეს სამშობლოს მომავალს და მის ბედნიერებას. „მაგრამ არიან ადამიანები, — სწერს გაზეთი „იზვესტია", — რომელთა ცხოვრებასა და საგმირო საქმეებში განსაკუთრებული სიმკვეთრით აღბეჭდილან მთელი თაობის შეგნება და მისწრაფებანი, სახალხო ცხოვრების მთელი ეპოქის თავისებურებანი. მათ გმირობაში, როგორც კრისტალში, გასაოცარი მკაფიობით და მრავალწახნაგოვნობით სჩანს ის, რაც დამახასიათებელია ყველა ჭეშმარიტი საბჭოთა ადამიანისათვის".

ამ ადამიანთა ბრწყინვალე პლეადას ეკუთვნის კომკავშირელი წითელარმიელი სოსნოვსკი, რომელიც მარად დარჩება საბჭოთა ხალხის მატიანეში მამულისათვის თავგანწირვის უკვდავ სახედ. ჭაბუკმა პატრიოტმა სოსნოვსკიმ შენიშნა, რომ ჩვენი ქვედანაყოფის წინსვლას აფერხებდა ტყვიამფრქვევის ძლიერი ცეცხლი მტრის გამაგრებულ საცეცხლე წერტილიდან. შეუმჩნევლად მიხოხდა მასთან და თავისი სხეულით გადაეფარა ამბრაზურას, საიდანაც ტყვიამფრქვევი ისროდა. გმირმა მებრძოლმა გასწირა თავისი სიცოცხლე, რომ უზრუნველეყო თავისი ქვედანაყოფის წინსვლა. ახალგაზრდა პატრიოტმა სამშობლოს მსხვერპლად მიუტანა თავისი თავი, რადგან მას თავის სიცოცხლეზე მეტად სამშობლო უყვარდა.

საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალურ თვისებათა გამომხატველ გმირად შევა ჩვენი ხალხის ისტორიაში თექვსმეტი წლის ჭაბუკი ალექსანდრე ჩეკალინიც. პირველად იგი გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლი იყო, მაგრამ წინ წაწეულმა მტერმა ჩეკალინი თავის ნაწილს მოსწყვიტა და იგი მტრის ზურგში მოჰყვა. ბავშვმა იარაღი არ დაჰყარა. მოსძებნა ამ რაიონში მომქმედი პარტიზანული რაზმი, მიეკედლა მას და თავს იდვა მრავალი სახიფათო დავალების შესრულება. ერთხელ მიიპარა მტრის ბანაკში, საიდანაც რაზმს მიუტანა ექვსი შაშხანა, ათი ყუმბარა, 500 ვაზნა და სხვ. მეორეჯერ მზვერავად წავიდა და, მის მიერ მიწოდებული ცნობების მიხედვით, პარტიზანულმა რაზმმა ჰიტლერელთა ავტოკოლონა მოსპო. ჩეკალინს ყოველთვის ვაჟკაცურად გადაჰქონდა პარტიზანული ცხოვრების მთელი სიმძიმე. ერთხელ მოულოდნელად მტრის ნაწილებს წააწყდა, მეორეჯერ, როცა ქოხში ღამეს ათევდა, ვიღაც არამზადამ გასცა, მაგრამ ორივეჯერ თავი დააღწია ტყვეობას. 2 ნოემბერს ჩეკალინი ავად გახდა და მას უფროსმა უბრძანა დარჩენილიყო ერთ სოფელში ნათესავებთან, ვიდრე გამოჯანსაღდებოდა. ჩეკალინიც ასე მოიქცა. ერთ ღამეს იმ სახლს, სადაც იგი იმალებოდა, გარს შემოერტყნენ ფაშისტები. ახალგაზრდა პარტიზანი გარეთ გამოვარდა. წინ მას თორმეტი ფაშისტი შეეჩეხა. ან უნდა დანებდეს, ან დაიღუპოს. ჩეკალინმა გადასწყვიტა დაღუპულიყო, მაგრამ დაღუპულიყო ჰიტლერელებთან ერთად. მან იძრო გრანატა და ფეხებში ესროლა ბანდიტებს. სამწუხაროდ, გრანატა არ აფეთქდა. გერმანელებმა შეიპყრეს ჭაბუკი და წაიყვანეს თავიანთ შტაბში ქალაქ ლიხვინს. როგორ არ აწამეს, რამდენი არა სტანჯეს შეუპოვარი ჭაბუკი, მაგრამ სიტყვა ვერ ათქმევინეს ვერც ერთს თანამებრძოლზე. ბოლოს გადასწყვიტეს მისი დასჯა. 6 ნოემბერს ქალაქ ლიხვინის მოედანზე სახრჩობელა აღმართეს. სასჯელის სანახავად ხალხი შეჰკრიბეს. ჩეკალინი მიაბიჯებდა სახრჩობელასაკენ მტკიცედ და ვაჟკაცურად. მოედნის ბნელ სიჩუმეში გაისმა მისი ძლიერი შეძახილი: ყველას ვერ ჩამოახრჩობთ, პარაზიტებო! ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ვართ! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება". და ჭაბუკმა ინტერნაციონალის მღერა დაიწყო. თოკი შემოეხვია გმირის კისერს და ჰიმნის სიტყვებთან ერთად შესწყვიტა მისი სიცოცხლეც.

ასეთია საბჭოთა ჭაბუკი ალექსანდრე ჩეკალინის გმირობა. იგი არასოდეს არ შესწყვეტს თავის სიცოცხლეს, რადგან ჩეკალინი ცოცხლობს მრავალმილიონ საბჭოთა ადამიანში. ჩეკალინი ანსახიერებს ჩვენი ხალხის საუკეთესო იდეურ-მორალურ თვისებებს, მის შეუპოვრობას, მის გულადობას, მის სიმტკიცესა და გადაწყვეტილებას იბრძოლოს ბოლომდე, სრულს გამარჯვებამდე.

ჩვენ, საბჭოთა მწერლები, ვამაყობთ იმით, რომ ვართ მწერლები იმ ხალხისა, რომელმაც მილიონობით წარმოშვა სოსნოვსკისა და ჩეკალინისებური გმირები. ამავე დროს ეს ზრდის საბჭოთა მწერლის პასუხისმგებლობას, აძლიერებს თავისი მოვალეობის შეგნებას საბჭოთა მწერალში. ჩვენ უნდა გავხდეთ ღირსი იმ ხალხისა, რომელიც საშინელი ფაშისტური ურჩხულისაგან ანთავისუფლებს კაცობრიობას და ესოდენი გასაოცარი შეუპოვრობით იბრძვის საკაცობრიო კულტურის გადარჩენისათვის.

— „ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, — ამბობს ცნობილი ფრანგი მწერალი ჟან-რიშარ ბლოკი, — საბჭოთა მწერალი, მხატვარი, მოაზროვნე პასუხისმგებელი არიან მსოფლიოსათვის და მსოფლიოს წინაშე. მსოფლიოს ხალხები მოელიან ახლა საბჭოთა ინტელიგენციისაგან ისეთსავე დიად საქმეებს, როგორიც მათ მიიღეს წითელი არმიისაგან. ეს პატარა ამოცანა როდია! გამოაწვრთეთ თქვენი გონება და თქვენი ნიჭი, გახადეთ ისინი ისეთივე გმირული, როგორიც არის გული წითელი მეომრებისა. თქვენ უფლება არ გაქვთ იმედი გაუცრუოთ მსოფლიოს! თქვენი მოვალეობაა განახორციელოთ იმედები, რომლებსაც თქვენზე ამყარებენ ყველა ეროვნების და ყველა მატერიკის ქალები და მამაკაცები".

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ საბჭოთა მწერლობა გაანაღდებს ამ იმედს. განუყრელი კავშირი საბჭოთა ხალხთან, მასთან ყოფნა თავდადებულ ბრძოლაში სამშობლოს თავისუფლებისათვის, მისცემს საბჭოთა მწერლობას დიდ სულიერ ძალას ასახოს საბჭოთა ხალხის გმირული სამამულო ეპოპეა ისე, როგორც ამ გოლიათ ხალხს შეეფერება.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

15 თებერვალს დილით შესდგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად.

გამგეობა მოისმენს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ირაკლი აბაშიძის მოხსენებას ა/წ. იანვრის დასასრულს მოსკოვში გამართულ სსრკ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის გაფართოებული თათბირის შედეგებსა და საქართველოს მწერალთა კავშირის უახლოესი მუშაობის შესახებ.

მოსკოვსა და მოსკოვის ოლქის განთავისუფლებულ რაიონებში მიღებულ თავიანთი შთაბეჭდილებების შესახებ სიტყვებით გამოვლენ სსრ კ.-ის მწერალთა კავშირის გამგეობის იმავე სხდომაზე დასასწრებლად მოსკოვს მივლინებული ორდენოსანი პოეტები ალიო მაშაშვილი და გიორგი ლეონიძე.

ამხ. ირაკლი აბაშიძის მოხსენების გარშემო გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

დაბრუნება

ბორის ჩხეიძე

დიდი ხანი არ გასულა, რაც გიორგი თედელური პენსიაზე გადავიდა. წარმოებაც მიატოვა. იშვიათად გამოდის ქალაქის გარეუბანში მდებარე საკუთარ ბინიდან. უვლის ეზოში რამდენიმე ძირ ხესა და ბალჩას.

ხან და ხან ხელში ჩვეული ხერხი, კვერი და ხელკავი უჭირავს. ძველი დაჟანგული რკინებიდან, თუნუქის კოლოფებიდან შვილისშვილებს სათამაშოებს უხელავს.

ბარემ თხუთმეტამდე ჰყავს შვილისშვილი.

აილღიავებს სათამაშოებს და ნელი, გამოზომილი ნაბიჯით გასწევს. ნაძალადევის ხიდს რომ შეუდგება, დიდხანს გაშტერებით დასცქერის ქარხნების მძლავრ მაჯისცემას. მანქანებს, მაზუთს, ორთქლს, გასაპოხ საცხებებს იგი, გიორგი, არ დაუბადნიათ, ისე კი მათ გაზარდეს, მათ დაავაჟკაცეს, მათ მოახუცეს.

ხშირად თავს იტუქსავდა: „შე ოხერო, ჩემო თავო, რა გეჩქარებოდა წარმოებიდან გასვლა? რამ უნდა გაგაძლებინოს? გულზე ხელისდაკრება, უმოქმედობა, სიკვდილის შემდეგ არ გეყოფა?"

ბარემ სამჯერ გადასწყვიტა წარმოებაში დაბრუნება. ცოლი გადაეღობა წინ: თუ მაინც და მაინც არ იშლი, ერთი წლის შემდეგ დაუბრუნდიო.

ათასი საბუთი ამოალაგა ცოლმა ერთი წლით დასვენების დასაცავად. ბოლოს, რომ აღარაფერი გაუვიდა და ქმარი ვერ დაითანხმა, შეუტია: აგერ მე ვარ, არ გიშვებ, მორჩა და გათავდაო.

ამ საბუთს ველარსაიდან მოუარა გიორგიმ. დაემორჩილა, ქედი მოუხარა ერთად-ერთ ადამიანს, რომელსაც ემორჩილებოდა ხოლმე ამ ორმოცდახუთი წლის მანძილზე.

წლების ჩამოთვლამ მოგონებაზე მიაგდო მოხუცი.

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ის სანახაობა, რაც მან პირველად იხილა დაახლოვებით ამავე ადგილიდან ამ ორმოცდახუთი წლის წინად და ის, რასაც ახლა ხედავდა მის თვალწინ გაშლილს.

ისინი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც ახლად ფეხადგმული ბავშვი ულვაშებ გადაგრეხილ ვაჟკაცს.

წყალსადენის გახეთქილ მილიდან ამონადენი ჩქერივით ებადებოდნენ თავში შედარებები. უნდოდა გაჰყოლოდა მათ დაუსრულებლად, თუნდაც უფსკრულში.

გარეთ ახლა ცივი, თოვლნარევი წვიმა მოდიოდა. ასეთი ამინდი არ უყვარდა: მწველ ფიქრებს უძრავდა. მწველი ფიქრი კი ისედაც ბევრი აქვს. სამამულო ომში წავიდა ორი უმცროსი ვაჟი, სამი შვილის-შვილიც, უფროსი ვაჟების შვილები. წავიდა გათხოვილი ქალიშვილის ქალიც.

გულის ჯიბეში უწყვია მათი წერილები და ფოტოსურათები. გაშლის, დააჩერდება, უკითხავს ცოლს.

ეზოში, ქუჩაზე, ხმაურსა და სიწყნარეში ერთი აზრი არ ასვენებს: როგორმე ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომ მათ არგოს, მიეშველოს.

სამამულო ომის პირველ დღესვე აღეძრა ეს სურვილი. მას აქეთ განუწყვეტლად სტანჯავს უმოქმედობისაგან დატრიალებული ვარამი.

ამ ბოლო დროს არცხვენს კიდევაც ეს სურვილი.

„გიორგი თედელურო, აფსუს: სამამულო ომია და შენ კი გულზე ხელები დაგიკრებია!" — ჩასძახის იდუმალი ხმა მამხილებელივით.

— ასე გაძლება აღარ შემიძლიან, გულზე გავიპობი! ჩემს ქვაბებს მაინც უნდა დავუბრუნდე, თორემ... თორემ არ ვიცი რა მომივა, — უთხრა იმ დილით ცოლს გიორგიმ და მოემზადა შინიდან გასასვლელად.

ძველ ზანდუკს თავი ახადა. იქა ჰქონდა შენახული ორმოცდახუთი წლის მანძილზე ნაგროვები ცნობები, პასპორტები, წიგნაკები, მოწმობები.

მაგიდაზე ამოჰყარა, გაშალა, მკვლევარივით ქრონოლოგიურად დაალაგა, რამდენიმე ცალი გამოჰყო. ეს ცალკე გამოყოფილი მოწმობები სიცოცხლეს ერჩია. იმ წლებიდან დარჩენოდა, როცა ბურჟუაზიასთან ბრძოლაში თავი ისახელა და გული იჯერა.

თებერვლის რევოლუციამ ვალუიკის სახელოსნოებში მიუსწრო. ათას ცხრაას თვრამეტი წლის დასაწყისში ბოლშევიკ მუშათა კომიტეტმა გიორგის ოციოდე კაცი ჩააბარა და ჯავშნიანი, ნომარი მატარებლის სასწრაფოდ შეკეთება დაავალა.

ქარსა და ყინვაში, სახელოსნოებიდან მოშორებით, სადღაც ველში გიორგი უხვევდა და უშუშებდა ჭრილობებს მატარებელს.

გამოხატავდნენ კედლებზე წითელ ვარსკვლავებს და ისტუმრებდნენ ფრონტზე.

გათავდა სამოქალაქო ომი. გიორგიმ სამშობლოში დაბრუნება გადასწყვიტა.

წითლების სარდლობამ მადლობის სიგელი, შესრულებული სამუშაოს ცნობები, ტყავის ქურთუკი და ტყავის ქუდი მიართვა საჩუქრად.

ამ დღიდან ამ ქაღალდებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ისე გატაცებით უყვარდა, რომ არავის აჩვენებდა და მათზე ლაპარაკის, ბაასის ღირსად მხოლოდ კალთაში ჩასმულ შვილის-შვილებს სთვლიდა, სხვებს კი ხელის აქნევით ეტყოდა:

— კარგი, დამეხსენით, მაგის მოყოლის თავი არა მაქვს!

და განმარტოვებული ერთხელ კიდევ გადაიტრიალებდა უხილავ ეკრანზე გონებაში ფირივით დალაგებულ სურათებს, დაუვიწყარ ლენინს, იოსებ ჯუღაშვილს, ათი ათასობით თავდადებულ მებრძოლებს.

— შვილები არ დამეხოცნენ, მაშინდელივით გადავარდნა გწადია! — უთხრა ცოლმა იმ ქაღალდების დანახვით შეფიქრიანებულმა და შეჰღაღადა: — ეს ბერი კაცი ვის რად უნდიხარ?!

— ბრძოლას თუ არ უნდივარ, ქვაბები მეძახიან, ჩემი ქვაბები, ჩემი ჟანგიანი და ანდამატიანი ძმები და შვილები, ჩემი ორთქლის სუნთქია რაზმელები, ჩემი გამზრდელი გულცეცხლები!..

ჩაილაპარაკა, გარედ გავიდა და პირდაპირ ქარხკომს მიაშურა.

დამლაგებელი დიდის პატივით შეუძღვა ქარხკომში. მდივანი იქ არ იყო იმ დროს. გიორგიმ ფანჯრიდან გაიხედა.

მძლავრმა „ФД"-ემ დაპირებულივით ბუქსირით ჩაათრია სამი ორთქლმავალი. ერთ ტენდერი დამსხვრეოდა, მეორეს საბოლავი მილი აღარ აჩნდა, მესამეს გამოშიგნულივით ამოცვივნოდა ზედადგრებიდან ორთქლის ქვაბის ზემო მხარე და ორთქლის სადენი არტერიები.

ორთქლმავლები ომში ნამყოფები იყვნენ, დაჭრილები, ვალმოხდილები.

— ან აქამდე რამ გაგაჩერა შინ! — წამოიძახა გიორგიმ და მიტრიალდა.

ქარხკომის მდივანი თავის ადგილას იჯდა. გიორგი მიუახლოვდა, ქაღალდების შეკვრა დაუყარა წინ:

— აი, ეს არის ჩემი მოწმობები, გამიშვით ისევ ჩემ საქვაბე ცეხში, ჩემ ქვაბებთან. ამნაირ დროს ვერ გამოვეთიშები ჩემ საქმეს, ჩემ მეგობრებს, — და დაუმატა:—ჯავშნიანებზეც მიმუშავნია, იქნებ იქ ფრონტისთვისაც გჭირდებით. მზად ვარ თუნდაც ახლავე.

ქარხკომის მდივანმა რაღაც მიუგო თანხმობის ნიშნად. გიორგის, იგი არ გაუგონია. სმენა ნაკლულ ყურებში მხოლოდ პნევმატების ხრიალი უტრიალებდა. გული ელეოდა სანამ ფეხს საქვაბე ცეხში შესდგამდა, პნევმატს ნაჩვევ ხელს შეახებდა, სამოქალაქო ომისეულ ქურთუკსა და ქუდს კი იქვე მახლობლად ჩამოჰკიდებდა.

სამამულო ომი სახვითს ხელოვნებაში

ცნობილი მოქანდაკე ვ. პ. აკიმოვი, რომელიც ამჟამად ქალაქ კუიბიშევში იმყოფება, მუშაობს კომპოზიციაზე „უკანასკნელი ვაზნის გასროლამდე"; კომპოზიცია გამოხატავს საბჭოთა მეტყვიამფრქვევეს, რომელიც იგერიებს გამხეცებული ფაშისტური ბანდის თავდასხმას.

კიეველმა მხატვარმა ი. ციბულსკიმ დაამთავრა დიდი სურათი „მოსკოვის რაიონის პარტიზანები". ამჟამად ი. ციბულსკი მუშაობს 28 გვარდიელის გმირობისადმი მიძღვნილ სურათზე. იგივე მხატვარი ამზადებს სურათს „შეხვედრა", სადაც მოცემული იქნება სცენა, თუ რა სიყვარულით ეგებება მოსახლეობა ფრონტიდან დაბრუნებულ დაჭრილ მეომრებს.

კუიბიშეველი მხატვარი ი. ბორისოვი სწერს სურათს: „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი".

ლტოლვილი

გიორგი კაჭახიძე

განდევნეს მტერი ვერაგი, მკაცრი,
გულის ნათებას ვერავინ მალავს...
კუზმა დურგალიც, ლტოლვილი კაცი,
კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს.
მივიდა, მაგრამ ნაცნობთა შორის
ცოცხლად დარჩენილს ვის ნახავს ნეტავ?
გადათხრილია ქუჩები სწორი,
დანგრეულია გარემო მეტად.
სუნთქვა ეკვრება მგზავრობით დაღლილს,
ნისლიც რა მძიმედ გაშლილა ცაში.
სდუმს და აფიქრებს: წყეული ნაღმი
კვლავ არ აფეთქდეს ქუჩაში სადმე.
ხედავს: ცოცხლდება გარემო მკვდარი,
სადღაც სამჭედლო აჟღერებს ფოლადს.
ხედავს: იღება სადურგლოს კარიც
და ბაღთან პურის საცხობი ბოლავს.
ხედავს: ეძლევა ადრინდელ სახით
ისევ ლამაზი ცხოვრების ნება.
მაგრამ რაღა ჰქნას, ეზო და სახლი
რომ ცეცხლთან ასე ნაბრძოლი ხედება!
დედას კვლავ თუთქავს დარდი და ცრემლი,
ნაწამებს მწვავედ შეჰყრია სურდოც.
საწყალი მამა, მათრახის ცემით
გაუტაცია მძარცველთა ურდოს.
გაუტაციათ წასვლის წინ, დილით,
ადევნებია ყორნების ჩრდილი.
არავინ იცის გზა-კვალი მისი,
მაგრამ მას, ალბათ, იპოვის შვილი:
დგას კუზმა თითქოს ხანძართან ახლა,
თითქოს მარტოა და მშველელს ეძებს.
იცის: არ არის უფალი მაღლა,
მაგრამ დიდია სამშობლო შეწე.
და რად შეჰხაროს ვაჟკაცმა წარბი,
ქარს და სიძნელეს ფრინველიც უტევს.
ზვირთი ვერ ანგრევს სალკლდოვან ნაპირს,—
ო, ვერ აჰყვება ნაღვლიან წუთებს.
იპყრობს მამის ხსნის სურვილი მძაფრი,
გაარღვევს მტერთა შერყეულ ზღუდეს,
და, ვით მერცხალი მკვირცხლი და სწრაფი,
აღიდგენს თავის დანგრეულ ბუდეს.

ოთხი ძმა

იოსებ ნონეშვილი

ფაშიზმის წინააღმდეგ სამამულო ომის ფრონტზე გმირულად იბრძვის მახარაძის რაიონის სოფ. ხვარბეთში მცხოვრები ოთხი ძმა ლესელიძე, მათ შორის არტილერიის გენერალ-მაიორი ორდენოსანი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე.

ღამით, როდესაც მთვარეულ ნისლში
დგანან ხეები თავდახრილები,
ბუხარში ცეცხლის გუგუნი ისმის
და ციმციმებენ წინდის ჩხირები.
ცა ისე თეთრად ქათქათებს გვერდით,
ფრთით დაუფარავთ თითქოს თოლიებს.
სარკმელს მოსწყდება ვარსკვლავი ერთი
და დედის ფიქრებს გაიყოლიებს.
შორს, სადაც ხეებს გლეჯავს ქარბუქი,
სადაც მტერს ზარი დასცეს გმირებმა,
მისი გაზრდილი ოთხი ჭაბუკი,
ოთხი ვაჟკაცი მტერს ერკინება.
ვერ მოადუნებს მათ მუხლებს დაღლა,
ვერც ყინვა, თეთრად იქ რომ კაშკაშებს.
„მოუკვდეთ ნენა, იქნება ახლა
თბილი წინდები უნდათ ვაჟკაცებს"...
ფხიზლობს. სარკმელში მსუბუქი ნისლით
კვლავ ირხევიან ხეთა ჩრდილები.
ცეცხლის გაბმული გუგუნი ისმის
და ლიცლიცებენ წინდის ჩხირები.
შემოვა მამა, ოჯახის ფუძე,
ამაყად გაზეთს გადაშლის ნელა,
გახარებული თვალებით უმზერს,
უმზერს და თითქოს დედას არ სჯერა.
ვინ ჩამოთვალა რიგრიგად ასე,
რაც იმამაცეს მისმა შვილებმა?
დედა ცრემლებით დაალბობს გაზეთს,
მამას ულვაშში ჩაეღიმება.
და იტყვის, ქვეყნად მეც კაცი მქვიან,
ენთება თვალში სხივი გვიანი.
გააღებს სარკმელს, ღამის ცივ ნიავს
შემოაქვს თოვლის ჩუმი შრიალი.
შორს, იქ-კი, სადაც ტყვიის ქარბუქით
მტერს ზარი დასცეს ჩვენმა გმირებმა,
მისი გაზრდილი ოთხი ჭაბუკი,
ოთხი ვაჟკაცი მტერს ერკინება.

დუშმანი წელში გაწყდეს გველივით,
ვერ დასცეს ქვეყნად ჩვენი უფლება...
დგას გენერალი არტილერიის,
მტერს ცეცხლის ენით ესაუბრება.
„დასცხე, დაჰკარი გულში ვადამდე,
მტრის სისხლით ველარ გაძღეს მახვილი!.."

განთიადიდან განთიადამდე
გრიგალს ამოაქვს ძმების ძახილი.

ხუროთმოძღვრების აკადემია სამამულო ომის დღეებში

სსრკ არქიტექტურის აკადემია თავის პროექტებით მომსახურებას უწევს მასობრივ მშენებლობას საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც ევაკუირებულია მრავალი ფაბრიკა და ქარხანა. აკადემიის მიერ დამუშავებული ტიპიური პროექტების მიხედვით აშენებულია და შენდება დაბები და ცალკეული შენობები.

ამავე დროს აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს დავალებული ჰქონდათ, აღებეჭდათ არქიტექტურის ძეგლები (გაზომვა, სურათების გადაღება, ჩანახატები, მოდელების დამზადება) იმ ადგილებში, სადაც შეიძლება საჰაერო თავდასხმა მომხდარიყო. კერძოდ, ეს სამუშაოები ჩატარებულია მოსკოვის მიდამოებსა და სხვა რაიონებში.

მას შემდეგ, რაც აკადემია ყაზახეთში იქნა გადაყვანილი, მან იკისრა ჩიკმენტის დაგეგმვა და ქალაქში ახალი საცხოვრებელი კვარტალების აღშენებლობა, სოფლების მშენებლობა.

არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის კაბინეტი შეუდგა შუა აზიის რესპუბლიკების (სამარყანდში, ძველ ბუხარაში და სხვა ადგილებში) ნაციონალური ხუროთმოძღვრების შესწავლას.

1942 წელს არქიტექტურის [illegible] თავის მთავარ ამოცანად ისა[illegible] მანელი ოკუპანტების მიერ ბარბაროსულად დანგრეული სოფლებისა და ქალაქების აღდგენის საკითხების დამუშავებას. ამ საკითხებს მიეძღვნა აკადემიის სესია, რომელიც შესდგა იანვრის ბოლო რიცხვებში.

ჩვენი არქიტექტორები სწავლობენ ინგლისში ამჟამად წარმოებულ სამუშაოებს ფაშისტური ავიაციის მიერ დანგრეული ქალაქების აღსდგენად.

მედროშე

ალფონს დოდე

1.

პოლკი რკინიგზის ყრილზე იბრძოდა და ტყეს შეფარებულ, პირისპირ მომდგარ გერმანელთა მთელი არმიისათვის კარგ ნიშანს წარმოადგენდა. სროლა სწარმოებდა ოცდაოთხი მეტრის მანძილზე. ისმოდა ოფიცრების ძახილი—დაწექითო, მაგრამ დამორჩილება არავის უნდოდა, და თავისი დროშის გარშემო შეჯგუფებული, ამაყი პოლკი განაგრძობდა ბრძოლას. მზე ჩადიოდა, შემოსული პურისა და საძოვრის დიდ სივრცეში ადამიანთა ეს მასა, დატანჯული, ბოლში გახვეული, ისე მოსჩანდა, როგორც გაშლილ მინდორზე საშინელ გრიგალში მოხვედრილი ჯოგი.

ამ ყრილზე რკინის წვიმა მოდიოდა. ისმოდა მხოლოდ თოფის სროლა და თხრილში დაგორებული კარდლების ყრუ ხმაური. ტყვიის ზუზუნი ბრძოლის ველს ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადაევლებოდა ხოლმე. ზოგჯერ იგი ისე თრთოდა, თითქოს საკრავის სიმები ჟღერენო. ფინდიხის დაჭრილივით აფრიალებული დროშა თავებს ზემოთ იყო აღმართული. დროგამოშვებით იგი კვამლში ინთქმებოდა. მაშინ გაისმოდა დინჯი და ზვიადი ხმა, იგი თოფის სროლას, დაჭრილების ხრიალსა და გინებას ჰფარავდა:

— დროშასთან, ჩემო შვილებო, დროშასთან!..

მაშინ ერთ-ერთი ოფიცერი, ამ წითელ ნისლში აჩრდილივით მკრთალი, მიიჭრებოდა, და გმირული დროშა, ისევ გაცოცხლებული, ბრძოლის თავზე კვლავ ირხეოდა.

ოცდაორჯერ დაეცა დროშა. ოცდაორჯერ მის ტარს, ჯერ კიდევ თბილს, მომაკვდავს რომ გაუვარდებოდა, კვლავ ხელს ჩაავლებდნენ და აღმართავდნენ. მზის ჩასვლისას, როცა ჯარისკაცთა მცირე ჯგუფი — ის, რაც პოლკს გადარჩა — უკან იხევდა, დროშა სერჟანტ ორნიუსის, ოცდამესამე მედროშის, ხელში უკვე ძონძად იყო ქცეული.

2.

სერჟანტი ორნიუსი სამსირმიანი ძველი მეომარი იყო. მან ხელის მოწერა ძლივს იცოდა. უნტერ-ოფიცრის ხარისხის მიღებას ოცი წელი მოანდომა. მის დაბალ და ჯიუტ შუბლზე, ტომბრის სიმძიმის ქვეშ მოზნექილ ზურგზე. ჯარისკაცის სამწკრივო სიარულში ნაბიჭვრის მთელი უბედურება იხატებოდა. ამასთანავე იგი ოდნავ ბლუ იყო, მაგრამ მედროშეს მჭერმეტყველება არ ესაჭიროებოდა. ბრძოლის დღეს, საღამოთი, პოლკოვნიკმა უთხრა:

— დროშა შენა გაქვს, ჩემო ვაჟკაცო? აბა, შენ იცი, როგორც მოუვლი!

მაშინვე მარკიტანტმა ქალმა ათას ცეცხლსა და წვიმაში გამოვლილ საბრალო სალაშქრო მაზარაზე უმცროსი ლეიტენანტის ოქროს ნიშანი დაუკერა. ამ თავმდაბალი ადამიანის ცხოვრებაში ეს ერთად-ერთი სიამაყე იყო. უეცრად ძველი ჯარისკაცი წელში გამართა, გასწორდა. ამ საწყალ არსებას, წელმოხრილ სიარულსა და მიწაში ცქერას დაჩვეულს, იმ წუთიდან ამაყი გარეგნობა მიეცა. სულ მაღლა იცქირებოდა, რათა ნაფლეთებად ქცეული დროშის ფრიალი დაენახა და იგი აღმართული სჭეროდა, ძალიან მაღლა, რომ მას სიკვდილი, ღალატი და დამარცხება ვერ შეხებოდა.

ალბათ, არ შეგხვედრიათ ისეთი ბედნიერი ადამიანი, როგორიც ბრძოლის დღეებში ორნიუსი იყო. მას ორივე ხელით ტყავის ბუდეზე დაბჯენილი დროშის ტარი ეჭირა. მთელი მისი სიცოცხლე, მთელი მისი ძალა ამ მშვენიერი მოოქროული ჩვრის გარშემო შემოჭდობილ თითებში მოქცეულიყო, ჩვრის, რომელსაც ტყვიები გაშმაგებით ეკვეთებოდნენ. მისი გამომწვევი თვალები მრისხანედ შესცქეროდნენ გერმანელებს, თითქოს ეუბნებიანო: აბა, სცადეთ, მობრძანდით ჩემი დროშის წასართმევად!

და ეს არავის უცდია, თვით სიკვდილსაც კი. ბორნიუს შემდეგ, გრაველოტის შემდეგ, ამ უსაშინლეს სისხლის მღვრელ ბრძოლებში დროშა ყველგან თავს აღწევდა, — დაგლეჯილი, დახვრეტილი, იგი ჭრილობებისაგან გამჭვირვალე გახდა, მაგრამ იგი სულ მუდამ მოხუც ორნიუსს ეჭირა ხელში...

3.

სექტემბერი დადგა. ჯარს მეცთან ალყა შემოარტყეს. და დაიწყო ეს გრძელი დასვენება ტალახში, სადაც ზარბაზნებს ჟანგი ედებოდა, სადაც მსოფლიოს უპირველესი ჯარი, უმოქმედობით, საკვებისა და ცნობების უქონლობით დემორალიზებული, თავისი თოფების ჯოჯგინების ძირში ციებისა და მწუხარებისაგან წყდებოდა. არც მეთაურებს, არც ჯარისკაცებს რწმენა აღარ ჰქონდათ; იგი მხოლოდ ორნიუსს შერჩენოდა, სამფეროვანი ძონძი ყველაფრის მაგიერობას უწევდა და, თუ იგი ახლო ეგულებოდა, ეგონა, საქმე დაღუპული არ არისო. სამწუხაროდ, რადგან ბრძოლა აღარ იყო, დროშა პოლკოვნიკის ბინაზე ინახებოდა, მეცის ერთ განაპირა უბანში. და გულადი ორნიუსი იქცეოდა იმ დედასავით, რომელსაც ბავშვი გამძიძავებული ჰყავს, — სულ დროშაზე ფიქრობდა. როდესაც სევდა ძალიან მოაწვებოდა, ერთი გადარბენით მეცში ჩავიდოდა და ერთსა და იმავე ადგილას, კედელზე ძალიან მშვიდად მიყუდებულ დროშას რომ დაინახავდა, კვლავ გამხნევდებოდა, მოთმინებით აივსებოდა და თავის სველ კარავში დაბრუნდებოდა, თან ბრძოლებსა და წინსვლაზე ოცნებობდა. თვალწინ ედგა გერმანელების სანგრებზე აღმართული, ფართოდ გაშლილი სამფეროვანი დროშები საფრანგეთისა.

მარშალ ბაზენის ბრძანებამ ეს ოცნება გაუფანტა. ერთ დილას, ორნიუსმა რომ გაიღვიძა, დაინახა: მთელი ბანაკი ბობოქრობდა, აღელვებული ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ, სიბრაზით ანთებულნი, გაცოფებულნი გაჰკიოდნენ. ყველა ქალაქის ერთი მხრისაკენ იშვერდა მუშტებს, თითქოს თავის მრისხანებას იქ მყოფ დამნაშავისაკენ მიმართავსო. ისმოდა ძახილი: „ხელში ჩავიგდოთ!.. დაიხვრიტოს!“ ოფიცრები მათ არაფერს უშლიდნენ, მოშორებით დადიოდნენ თავჩაღუნულნი, თითქოს ჯარისკაცების სცხვენიათო. ეს, მართლაც, სამარცხვინო ამბავი იყო. ეს-ეს არის ასორმოცდაათი ათას ჯარისკაცს, კარგად შეიარაღებულს, ჯანსაღს, წაუკითხეს მარშალის ბრძანება, რომელიც მთელ ჯარს მტერს უბრძოლველად აბარებდა.

— დროშები? — იკითხა გაფითრებულმა ორნიუსმა.

დროშებიც, სხვასთან ერთად, თოფებთან ერთად, იმასთან ერთად, რაც საბარგულეებს გადარჩა, ყველაფერი მტერს ჩააბარეს.

— ღვთის.. ღვთის რისსს... სხვა!.. — სთქვა ენისკიდებით საწყალმა ადამიანმა. — ჩემგან დროშას ისინი ვერასდროს ვერ მიიღებენ! — და სირბილით გაეშურა ქალაქისაკენ.

4.

იქაც დიდი მღელვარება იყო. ეროვნული გვარდიელები, ბურჟუები, — ყველანი ყვიროდნენ, ღელავდნენ. აკანკალებული დეპუტაციები მარშალთან შედიოდნენ. ორნიუსი ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, თავისთვის ლაპარაკობდა და გარეუბნის ქუჩას მიჰყვებოდა:

— უნდა წამართვან ჩემი დროშა! ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ აქვთ ამის უფლება? ვინ აძლევს გერმანელებს იმას, რაც ჩვენია, მოოქრულ კარეტებს, მექსიკიდან ჩამოტანილ ოქროს ჭურჭელს!.. ეს ხომ ჩემია! ეს ჩემი ღირსებაა! მე ვიცავ! აბა ხელი ახლონ!

სირბილისა და ენისკიდებისაგან ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ისროდა. მაგრამ გულის სიღრმეში მას, ძველ ორნიუსს, თავისი აზრი ჰქონდა, აზრი მეტად ნათელი, კარგად მოფიქრებული: დროშა აეღო, პოლკის შუაგულში შეჭრილიყო და იმ ამხანაგებთან ერთად, ვინც მის დროშას გაჰყვებოდა, გერმანელები გადაეთელა.

როდესაც ორნიუსი იქ მივიდა, შიგნით შესვლის ნება არ მისცეს. გაცოფებულ პოლკოვნიკს არავისი ნახვა არ უნდოდა... მაგრამ ორნიუსი ამას ვერ მიმხვდარიყო.

ილანძღებოდა, ყვიროდა, შიკრიკს ხელს ჰკრავდა:

— ჩემი დროშა!.. მე მინდა ჩემი დროშა!..

ბოლოს ფანჯარა გაიღო.

— შენა ხარ, ორნიუს?

— დიაღ, პოლკოვნიკო, მე...

— ყველა დროშა არსენალშია... იქ უნდა მიხვიდე, ქვითარს მოგცემენ...

— ქვითარს? რაში მჭირდება ქვითარი?

— მარშლის ბრძანებაა...

— მაგრამ პოლკოვნიკო....

პოლკოვნიკმა ფანჯარა მიიხურა.

ორნიუსი მთვრალივით დაბარბაცდა.

— ქვითარი... ქვითარი... — იმეორებდა მაშინალურად... მერე გზას გაუდგა. არაფერი გაეგებოდა, გარდა იმისა, რომ დროშა არსენალში იყო. რადაც უნდა დასჯდომოდა, ის უნდა ენახა.

5.

არსენალის ჭიშკარი ყურთამდე გაეღოთ, რათა გერმანელთა ფურგუნები გაეტარებინათ, ეზოში ჩამწკრივებულნი რომ იცდიდნენ. ორნიუსი რომ შევიდა, თრთოლვამ აიტანა. ყველა მედროშე იქ იყო, ორმოცდაათი თუ სამოცი ოფიცერი, დამარებული, დადუმებული. ამ წვიმაში შავი ფურგუნებისა და მათს უკან თავმოყრილ ქუდმოხდილ ადამიანთა ჯგუფის მნახველი იფიქრებდა: ეს დაკრძალვა არისო.

ბაზენის არმიის ყველა დროშა ერთ კუთხეში, ტალახიან ქვაფენილზე, დაეყარათ: ღია ფერის აბრეშუმის კონკები, ოქროსფერი ფოჩების ნაფლეთები და ჩუქურთმიანი ტარები. ყველაფერი ეს, სახელგანთქმული, მდიდრული მორთულობა, მიწაზე დაყრილი, წვიმასა და ტალახში მოსვრილი, გულისმომკვლელი სანახაობა იყო. ერთი ინტენდანტი სათითაოდ იღებდა დროშებს, პოლკს გამოიძახებდა, და ყოველი მედროშე ქვითარის მისაღებად წინ წარსდგებოდა. ორი გერმანელი ოფიცერი, ახმახი, გულცივი, დროშების ამ დატვირთვას თვალყურს ადევნებდა.

აი მიდიხართ, ოო, წმინდაო, სახელოვანო ძონძებო, ჭრილობებს იხსნით და მწუხარედ ჰგავით ქვაფენილს ფრთამოტეხილი ფრინველებივით! მიდიხართ, თან მიგაქვთ სირცხვილი: შეიბილწა, ტალახში ამოისვარა ჩვენი მშვენიერება. თვითეული თქვენგანი თან გაიყოლებს საფრანგეთის ნაწილს. თქვენს ძველ ნაოჭებში ჩარჩენილი იყო გრძელი ლაშქრობის მზე. თქვენს ნატყვიარებში ინახავდით მოგონებას დროშის ქვეშ გაგმირულ უცნობ მკვდრებზე...

— ორნიუს! შენია... გეძახიან.. მიიღე ქვითარი...

სწორედ ქვითარზე იყო ლაპარაკი!

დროშა იქ იყო, მის წინ. სწორედ მისი დროშაა. ყველაზე უფრო მშვენიერი, ყველაზე უფრო დასახიჩრებული... და ის რომ დაინახა, თავი რკინიგზის ყრილზე ეგონა: ესმოდა ტყვიების, დამსხვრეული კარდლების მღერა და პოლკოვნიკის ძახილი:

— დროშასთან, ჩემო შვილებო!

მერე თვალწინ დაუდგა, როგორ დაეცა ბრძოლის ველზე ოცდაორი ამხანაგი, როგორ გაეშურა თვითონ, ოცდამესამე, დროშისაკენ, რათა კვლავ აღემართა, შეემაგრებინა, ხელგამოცლილი დაბარბაცებული საწყალი დროშა. ოო, იმ დღეს ფიცი დასდო, რომ დაიცავდა დროშას, სიკვდილამდე დაიფარავდა მას. ახლა კი...

ამ ფიქრისაგან სისხლი თავში აუვარდა. გაბრუებული, გონებაარეული გერმანელ ინტენდანტს მივარდა, თავისი საყვარელი ალამი გამოჰგლიჯა, ორივე ხელი ჩასჭიდა: სცადა კვლავ აღემართა იგი, აეფრიალებინა, თან დაიძახა:

— დროშისთვის...

მაგრამ ხმა ჩაუწყდა, — იგრძნო ტარი შეირყა, ხელებში დაუცურდა. ამ დაღლილ ჰაერში, ამ სიკვდილის ჰაერში, რომელიც მძიმედ აწევს გადაცემულ ქალაქებს, დროშებს ფრიალი აღარ შეეძლოთ, არაფერს ამაყს არსებობა აღარ შეეძლო...

და მოხუცი ორნიუსი განგმირული დაეცა.

თარგმანი ფრანგულიდან
იროდიონ ქავჟარაძისა.

„მეგობრის სისხლი“

ბელეტრისტმა დავით სულიაშვილმა დასწერა მოთხრობა „მეგობრის სისხლი“. მოთხრობის თემა მწერალს ფართოდ აქვს მოფიქრებული. იგი იწყება ომამდელი პერიოდით. ავტორი ძლიერი მხატვრული ფერებით აგვიწერს წყალტუბოსა და მისი მიდამოების მშვენიერ პეიზაჟს. მოთხრობის მთავარი გმირები ტასო და ვასილი პირველად აქ შეხვდებიან ერთმანეთს, დასვენების დროს. მათ შორის იბმება მეგობრული კავშირი. გერმანელი ფაშისტების საბჭოთა კავშირზე ვერაგული თავდასხმის ამბავს ისინი იქ შეიტყობენ. ვასილი მფრინავია. იგი მეორე დღესვე გაემართება ფრონტზე, სადაც მამაცურად იბრძვის და დიდ გმირობასაც იჩენს. დაჭრილ ვასილს ჰოსპიტალში მიიყვანენ, სადაც მთავარ ექიმად ტასოს ქმარია. ვასილი უკანასკნელ დღეშია. სისხლისაგან დაცლილს მას მხოლოდ სისხლის გადასხმა იხსნის. ჰოსპიტალს იმჟამად არ აღმოაჩნდება ვასილის ჯგუფის სისხლი. ვასილის სიცოცხლე განსაცდელშია. ამ ამბავს შეიტყობს ტასო, იგი ქმართან მივა და სიამოვნებით მისცემს თავის სისხლს საბჭოთა კავშირის გმირის გადასარჩენად.

ასეთია მარტივად დ. სულიაშვილის მოთხრობის სიუჟეტი. მოთხრობაში მრავალი საინტერესო მხატვრული ხლართია. იგი დაწერილია საინტერესოდ, სადა ენით და მძაფრი შინაგანი კომფლიქტებით.

13 თებერვალს მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექციამ მოაწყო მოთხრობის კითხვა-განხილვა. ნაწარმოებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მწერლებზე. თავიანთი აზრი გამოსთქვეს ი. ლისაშვილმა, გ. ქიქოძემ, ი. გრიშაშვილმა, რ. ქორქიამ, ს. ჩიქოვანმა, ე. ასტვაცატუროვმა, ვ. გორგაძემ, შ. დადიანმა, ბ. ჩხეიძემ და ლ. ქიაჩელმა. მათ აღნიშნეს მოთხრობის მხატვრული ღირსება. მოთხრობა, მათი აზრით, გამსჭვალულია კეთილშობლური სულით და საბჭოთა პატრიოტიზმით. იყო ცალკეული შენიშვნები, რაც ავტორმა მთლიანად გაიზიარა.

„მათე-მაია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა კავშირის დრამსექციამ 11 თებერვალს მოაწყო პოეტ მაყვალა მრევლიშვილის პიესის „მათე-მაიას“ კითხვა.

„მათე-მაია“ — პოეტისათვის დრამატიულ ჟანრში გამოსვლის პირველი ცდაა. ამიტომ პიესამ გარდა დრამატურგებისა, სხვა მწერლებიც დააინტერესა.

პიესა ისტორიულ თემაზე არის აგებული და ეხება ერეკლე მეორეს ხანას, კერძოდ, ხალხური გმირის მათე-მაიას ცხოვრებას.

პიესის კითხვის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ლ. ქიაჩელმა, სიმ. ჩიქოვანმა, ი. გრიშაშვილმა, ე. ასტვაცატუროვმა, ს. შანშიაშვილმა, ი. ვაკელმა, შ. დადიანმა, ი. ზურაბიშვილმა, ცქვიტმა და გ. კალანდაძემ. მწერლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ამ პიესით ავტორმა გვიჩვენა, რომ მას შეუძლიან ნაყოფიერი მუშაობა არა მარტო ლექსზე, არამედ ფართო მხატვრულ ტილოებზედაც. პიესის ენა გამართულია. მოსწრებულად არის გამოყენებული ხალხური თქმები, კარგია დიალოგები.

მაგრამ ამ დადებითი მხარეების გარდა, ავტორს მიუთითეს პიესის ზოგიერთ ნაკლზე. კამათში გამოსული ამხანაგების აზრით პიესას აკლია მთლიანი კომპოზიცია. ამასთან მისი ძირითადი იდეა უფრო პატრიოტიზმის თემატიკისაკენ უნდა იქნას მიმართული. საჭიროა მეტი მოქმედება, მეტი კვანძები, რომ პიესა სცენიურად საინტერესო სანახავი გახდეს.

ამ ნაკლთა მიუხედავად, ამხანაგების აზრით, პიესა „მათე-მაია“ საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოებია. მათ ურჩიეს ავტორს განაგრძოს მუშაობა დრამატიულ ჟანრშიაც.

ფოთის თეატრში

ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის ფოთის დრამატიული თეატრი სამამულო ომის პერიოდში უდოტაციოდ მუშაობს. მიუხედავად ამისა, თეატრის ახალგაზრდა კოლექტივი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. გოძიაშვილის ხელმძღვანელობით ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს.

მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში თეატრმა მაყურებელს უჩვენა სამი ახალი დადგმა, მათ შორის თ. ესენოვას „შემშათი“ და კ. სიმონოვის „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“. პიესებს უმთავრესად ნ. გოძიაშვილი სდგამს, მხოლოდ „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“ დასდგა ახალგაზრდა რეჟისორმა თ. ლორთქიფანიძემ, რომელიც ამავე თეატრში აღიზარდა.

ამ დღეებში თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა თითომოქმედებიანი პიესების სპექტაკლი. იგი ორი კომედიისა და ორი სკეტჩისაგან შესდგებოდა. ამათგან დამსწრეთა ინტერესი გამოიწვიეს ლ. ლევინის „მარინკამ“ და ვ. კვასნიცკის „მილიონმა მარკამ“.

გარდა შემოქმედებითი მუშაობისა, თეატრის კოლექტივი ეწევა ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას—სდგამს საშეფო წარმოდგენებს. რამდენიმე წარმოდგენა მან თავდაცვის ფონდის სასარგებლოდაც გამართა.

ფაშიზმის წინააღმდეგ ამეტყველებული წარსული

ლიონ ფეიხტვანგერის, ჰენრიხ მანის და ბრუნო ფრანკის ისტორიული რომანები

ვანო წულუკიძე

როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მკითხველ მასებში განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭეს ლიონ ფეიხტვანგერის, ჰენრიხ მანისა და ბრუნო ფრანკის ისტორიულმა რომანებმა. მათი იშვიათი პოპულარობა აიხსნება არა მარტო იმით, რომ მკითხველი ინტერესს იჩენს კაცობრიობის ისტორიულ წარსულისადმი, არამედ იმით, რომ ზემოხსენებული მწერლები ისტორიულ ფაქტებს და პიროვნებებს ხატავენ, აშუქებენ და აფასებენ თანამედროვე გიგანტური ბრძოლის თვალსაზრისით. ამ რომანებში მკითხველი სტრიქონებსა და სტრიქონებს შუა ჰგრძნობს გულისცემას ავტორებისას, რომლებიც აუღელვებიათ ჩვენი დროის უხეში ძალის — ბარბაროსული ფაშიზმის — ბატონობას, ფაშისტ კაცთმოძულეთა აღვირ-ახსნილობას, გაშიშვლებულ ზოოლოგიურ ინსტიქტების თარეშს, ყოველივე იმას, რაც ახასიათებს ჰიტლერიზმს, ხელისუფლების სათავეში მოქცეულ კრიმინალური ტიპების მიერ შექმნილ „ახალ წესრიგს“.

მკითხველი ადვილად ხვდება, თუ რა კავშირი აქვს ამ ისტორიულ რომანებში ასახულ წარსულ ამბებს ჩვენს თანამედროვეობასთან. და რაც უფრო ძლიერად გრძნობს ამას, მით უფრო მძაფრად განიცდის იგი ამ რომანების ავტორთა მგზნებარე პროტესტს ფაშიზმის ძალმომრეობის წინააღმდეგ. ამასთან მკითხველი იმსჭვალება [illegible] გრძნობით იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ბნელი ძალების მიერ გა[illegible]ილი, ჩაწიხლული და ნაწამები ყოფილან. მკითხველი ხედავს სრულს ანალოგიას ერთის მხრით ფაშიზმსა და წარსულის ეპოქების რეაქციულ ელემენტებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ — ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლებსა და წინანდელი ეპოქების პროგრესიულ ძალებს შორის. ეს საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ ფეიხტვანგერის, ფრანკის და ჰენრიხ მანის ისტორიული ნაწარმოებები გათანამედროვებულ მატიანედ, ხოლო მათი გმირები — ფაშიზმის წინააღმდეგ ამხედრებულ ადამიანებად.

ლ. ფეიხტვანგერის რომანებს „იუდეველთა ბრძოლას“, „ცრუ ნერონს“, „იოსებ ფლავიოსს“ მკითხველი გადაჰყავს ძველი რომის ბატონობის ეპოქაში, ბრუნო ფრანკის „სერვანტესს“ — მე-17 საუკუნის ესპანეთში, ხოლო ჰენრიხ მანის „ჰენრიხ მეოთხეს“ — მე-16 საუკუნის საფრანგეთში. და თუმცა მათში ასახული ეპოქები ჩვენზე რამდენიმე საუკუნით არიან დაშორებული, თვითეული ამ რომანთაგანი მაინც მძაფრად ეხმაურება და ესატყვისება ჩვენს დღეებს. ამ ნაწარმოებთა დადებითი გმირები ცხოვრების აზრად რეაქციასთან, უვიცობასთან, სიბნელესთან თავგანწირულ ბრძოლას სთვლიან. იმ სიყვარულში, როგორითაც ასახული არიან ეს გმირები, იმ დაცინვასა და სარკაზმში, რომლითაც რომანების ავტორები ეპყრობიან თავიანთ გმირების მოწინააღმდეგე ბანაკს, უეჭველად იგრძნობა გამოძახილი იმ დიდი ამბებისა, რომელნიც აღელვებენ ჩვენს თანამედროვეობას, იგრძნობა აშკარა პროტესტი და აღშფოთება ფაშისტური ძალადობის გამო და მხურვალე თანაგრძნობა ადამიანის უფლებათა დამცველისადმი.

იდეალისტი და მეოცნებე იოსებ ფლავიოსი ფეიხტვანგერის ამავე სახელწოდების ტრილოგიიდან მთელი თავისი არსებით წამებული და დევნილი იუდეველების მხარეზეა. იგი მხარს უჭერს და იცავს ძველ დახვეწილ ელინურ კულტურას, რომლის განადგურებასაც აპირებენ უხეში რომაული ლეგიონები, თუმცა იგი პირადად იმდენად ძლიერი არ არის, რომ ჩადგეს რომის წინააღმდეგ აშკარად მებრძოლთა რიგებში და წმინდა საქმეს მსხვერპლად მიუტანოს თავისი მდგომარეობა — იმპერატორ ვესპასიანის კარის ისტორიკოსის მდგომარეობა.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ მოქმედება ამ რომანებში ჩვეულებრივ ვითარდება ორი ეპოქის მიჯნაზე, როცა მომაკვდავი წარსული გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს ახალის ძლევამოსილ შეტევას. ასე, მაგალითად, ფეიხტვანგერის რომანში „უგვანო ჰერცოგი-ქალი“ ცრუმორწმუნე და ბნელი შუასაუკუნეები ბრძოლას აწარმოებენ ბურჟუაზიული კულტურისა და ცივილიზაციის საწყისებთან. ეს არის ბრძოლა თავადებისა ტიროლის ჰერცოგ ქალთან, მარგარიტასთან, რომელიც ცდილობს გააერთიანოს წვრილი სამფლობელოები, მოაწესრიგოს ვაჭრობა და ეკონომიურად აღორძინოს ფეოდალური ბრძოლებით და სისხლის ღვრით დაუძლურებული ქვეყანა.

ებრაელი ზიუსის ბრწყინვალე ზეასვლის და ტრაგიკული დასჯის ისტორია ფეიხტვანგერის ამავე სახელწოდების რომანში მოცემულია აბსოლუტიზმის ჩასახვის ეპოქაში, ესე იგი გარდატეხის ეპოქაში, როცა ძველი ქვეყნის სხვა მრავალ ინსტიტუტთან ერთად ისპობა და კვდება საშუალო საუკუნეების გერმანული გეტტო.

მაგრამ ფეიხტვანგერი არ იზღუდავს თავს წარსული ეპოქის უბრალო, მაგრამ დინამიური ასახვით. ეპოქები კრიზისისა, ქარიშხლისა და მძაფრი შეტევის პერიოდები — ეს ძველისაგან ახალის დაბადებაა და როგორც ასეთნი, წარმოადგენენ თანამედროვეობის წინამორბედ სახეს, თანამედროვეობის სიმბოლოს; წარსულში ხედავს და პოულობს მწერალი დღევანდელი ბრძოლის გამოძახილს. იგი ისტორიულ თემებში ეძებს თავისი საკუთარი ეპოქის მხოლოდ სიმბოლოს და შეძლებისდაგვარად ზუსტ გამოხატვას.

ორი საწყისის იგივე ბრძოლა იზიდავს ბრუნო ფრანკსაც. მის „სერვანტესში“ დიდებული „დონ-კიხოტის“ დიდი ავტორი, რომელმაც გამანადგურებელი დაცინვით მოსპო გადაგვარებული რაინდობა და ამით მწარედ დასცინა წარსულისკენ მიმავალ ეპოქას, უპირისპირდება მომაკვდავი წარსულის გულმოდგინე დამცველებსა და მოსარჩლეებს, რომელთა შორისაც პირველი ადგილი უჭირავს ბერმონოზნებსა და ინკვიზიტორებს. მკითხველის თვალწინ დგება უაღრესად მიმზიდველი, სიმპატიური სახე გენიალური სერვანტესისა, ბრძოლაში დაჭრილი და დასახიჩრებული, ხელმოკლეობით და სიღატაკით გაწამებული უდიდესი მწერლისა, რომელიც საპატიმროში ჰქმნის მსოფლიო ლიტერატურის უშესანიშნავეს ნიმუშს „დონ-კიხოტს“, სადაც ასე დრამატიულად ერთმანეთს უპირისპირდებიან და ეჯახებიან კაცთმოყვარეობა, კეთილშობილება, ვაჟკაცობა, ერთის მხრივ, და ფარისევლობა, ცრუმორწმუნეობა, კაცთმოძულეობა და მხეცური სისასტიკე მეორეს მხრივ უფრო ფართოდ, უფრო მკვეთრად და მრავალფეროვნად იხსნება იგივე თემა ჰენრიხ მანის ცნობილ რომანში „ჰენრიხ მეოთხე“. მე-16 საუკუნე საფრანგეთში დიდი ისტორიული კოლიზიების დროა. ეს არის დრო ძველ ფეოდალურ წარჩინებულ გვართა დაცემისა და ვაჭრობითა და ხელოსნობით წინ წამოწეული ქალაქელი სოციალური ფენების აღმავლობისა. ფეოდალებთან ბურჟუაზიის ბრძოლის ერთ-ერთ გამოხატულებად იქცა ჰუგენოტებისა და კათოლიკების სისხლისმღვრელი ბრძოლა. თემის არჩევაც, შემოქმედებითი განზრახვაც, მხატვრული კონცეპციაც და გმირების დახასიათებაც რომანში „ჰენრიხ მეოთხე“ ჩაგონებულია ჩვენი თანამედროვეობით. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა ის ამბები, რომელნიც აფორიაქებენ და აღელვებენ ჩვენი დროის ადამიანებს. თვით ჰენრიხ მანი თავისი ამ რომანის გამო შენიშნავს: „მხოლოდ საკუთარი მძიმე განცდების შემდეგ შევძელი შემექმნა ჩემი წიგნი და აღმეწერა მასში მეფეთა შორის ყველაზე ადამიანური პიროვნება“. ჰუგენოტები ჰენრიხ მეოთხის მეთაურობით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ ფეოდალურ სამყაროს ადამიანობისა და კეთილშობილი მისწრაფებების სახელით. შემაძრწუნებელი სახით გვევლინებიან კათოლიკები ამ ნაწარმოებში. ემსახურებიან რა თავიანთ პირად ინტერესებს, შეპყრობილი არიან რა ანგარებით, კათოლიკები ყველგან სთესენ შურსა და მტრობას, ანადგურებენ და აპარტახებენ მთელ საფრანგეთს. მაგრამ კათოლიკების მუხანათობას, ვერაგობას, გამანადგურებელ ძალადობას უპირისპირდება რაინდული ვაჟკაცობა, გულადობა, სიმამაცე, მოვალეობისათვის თავდადება, წმინდა ენთუზიაზმი ჰუგენოტებისა, რომელთაც წინამძღოლობს ჰენრიხი, ეს გონიერებისა და ადამიანური ბედნიერების მოციქული, როგორც მას ავტორი უწოდებს. ბოლოს, სინათლე სძლევს ბნელეთს.

ცხადია, ჰენრიხ მანი რამდენადმე აკეთილშობილებს თავის გმირს. ისტორიული სახე ამ მეფისა მთლად ისეთი არ არის, როგორსაც მას მწერალი წარმოგვიდგენს. ჰენრიხ მეოთხე ბურჟუაზიასთან ერთად იბრძოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ აბსოლუტური ხელისუფლებისათვის. ეს არის მთავარი წყარო მისი ძლიერებისა, რომელიც ასე ადვილად იმორჩილებდა ქალაქებს. ის გარემოება, რომ მან თავისი ბედი ახალგაზრდა აღმავალ კლასს დაუკავშირა, თავის დაღს ასვამს მის მორალურ სახეს, ზნეობრივად უფრო მაღლა აყენებს მოწინააღმდეგე ბანაკის სასტიკ და გარყვნილ ინტრიგანებზე. ჰენრიხ მანი კი მას უმთავრესად გვიხატავს ქველ მეფედ, ჰუმანიურობის, თავისუფლების, რჯულის შეწყნარებლობის, „მარადიულ“ იდეალებისათვის მებრძოლ ადამიანად. მთავარი სწორედ ის არის, რომ ავტორი ცდილობს ისტორიულ პიროვნებებს შორის მოსძებნოს დიდი მიზნებისათვის მებრძოლი და დაუპირისპიროს იგი მისი დროის რეაქციულ ძალებს.

ასე და ამგვარად, სიმართლისა და სამართლიანობის ძიებაში ერთმანეთს უახლოვდებიან ფეიხტვანგერის, ფრანკისა და ჰენრიხ მანის გმირები. ჰენრიხ მეოთხე კულტურისა და ჰუმანიურობის ისეთსავე ქომაგად გამოდის, როგორნიც არიან ჰერცოგი-ქალი მარგარიტა, იოსებ ფლავიოსი და მიგუელ სერვანტესი. სამივე მწერალი თავიანთი გმირების სახით იძლევიან ჰიტლერიზმისადმი დაპირისპირებულ საწყისებს. სამივე მწერალი ამ სახეების შექმნას საფუძვლად უდებს მე-18 საუკუნის განმანათლებლობის პრინციპებს, კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ჰუმანიზმი მოწინავე ინტელიგენციისა, რომლის წარმომადგენლები არიან ზემოხსენებული მწერლები, ანტიფაშისტური მოძრაობის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია. ჩვენ ვიცით, რომ ჰენრიხ მანი ამჟამად კიდევ უფრო რადიკალურად აზროვნებს, იგი აშკარად სდგას ჩვენი დიდი სამშობლოს მხარეზე. მას დღეს ღრმად სწამს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხალხი ანხორციელებს ნამდვილ სოციალისტურ ჰუმანიზმს, რომ მომავალში ლიტერატურა წარმოუდგენელია ამ ჰუმანიზმის გარეშე.

„მომავალში, — სწერდა ჰენრიხ მანი, — ლიტერატურა ვერ იარსებებს სოციალისტური იდეების გარეშე. ლიტერატურა, ნამდვილი მწერლობა უყოყმანოდ გადადის მუშების მხარეზე, რადგან მხოლოდ ისინი სცემენ პატივს ადამიანურს და ისინი იცავენ კულტურას“.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჰიტლერი ჩვენს ქვეყანაზე მუხანათურ თავდასხმას მოაწყობდა, გერმანელმა ანტიფაშისტმა მწერლებმა თავიანთ ისტორიულ რომანებში მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცეს ფაშისტურ რეაქციას. ზემოხსენებული რომანები დღესაც შესანიშნავად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, ისინი აიარაღებენ და შთააგონებენ ყველას, ვისაც კი ხელში ფაშიზმის გასაგმირავი იარაღი აუღია. ეს რომანები ზრდიან და აყალიბებენ შეუდრეკელ მებრძოლებს მოწინავე კაცობრიობის გამარჯვებისათვის ფაშისტურ ბნელეთზე.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 5809